

12.02.2014

## საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით - 4.00 პროცენტამდე ზრდის

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2014 წლის 12 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4 პროცენტს შეადგენს.

დღეისათვის არსებული პროგნოზების მიხედვით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მიზნობრივ დონეს 2014 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება. იანვარში მთლიანმა სფი ინფლაციამ 2.9% შეადგინა. წინა თვესთან შედარებით კი ფასები 0.8 პროცენტით გაიზარდა.

წლის ბოლოს ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლება დაფიქსირდა. წინასწარი შეფასებით ნოემბერ-დეკემბერში ეკონომიკური აქტივობის ზრდამ 8 პროცენტს გადააჭარბა. აღნიშულიდან გამომდინარე მეოთხე კვარტალის საპროგნოზო ზრდა 6.9%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანად 2013 წლის მშპ-ს ზრდა 3.1%-ს მიაღწევს. მეოთხე კვარტალში ეკონომიკურ ზრდას საგარეო მოთხოვნასთან ერთად (რაც წინა პერიოდებშიც აქტიური იყო), შიდა მოთხოვნის გააქტიურებამაც შეუწყო ხელი. შიდა მოთხოვნის გააქტიურებაზე მიუთითებს იმპორტის მაღალი წლიური ზრდის ტემპები, განსაკუთრებით აღსანიშნავია საინვესტიციო იმპორტის ზრდა, რამაც მომდევნო პერიოდებში ეკონომიკური ზრდის აღდგენა უნდა წახალისოს.

2013 წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნება ბანკების საკრედიტო აქტივობის ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაიზარდა წლის ბოლო თვეების განმავლობაში. 2013 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 16%-ით გაიზარდა.

2013 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8%-ით გაუფასურდა. ეროვნული ბანკის შეფასებით აღნიშნული გაუფასურების გავლენა სამომხმარებლო ფასებზე დაახლოებით 1 პროცენტულ პუნქტს შეადგენს, რაც უკვე გათვალისწინებულია ინფლაციის მიმდინარე პროგნოზში.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის გამოცოცხლება შეინიშნება და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტენდენცია 2014 წლის პირველ ნახევარშიც შენარჩუნდება. იანვრის თვის წინასწარი ინდიკატორები აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნებაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვნად შერბილებული პოლიტიკის შენარჩუნების საჭიროება აღარ არსებობს და გაზარდა პოლიტიკის განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით. აღნიშნული ნაბიჯით ეროვნულმა ბანკმა დაიწყო შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის პროცესი იმ დაშვებით, რომ ზემოთ აღნიშნული ტენდენციები შენარჩუნდება შემდეგ პერიოდში. საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2014 წლის 26 მარტს გაიმართება.